ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,

მაჟორიტარ იმედა საღინაძის , ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის

ამომრჩევლებთან საანგარიშო შეხვედრის

ო ქ მ ი N3

16 ნოემბერი, 2021 წელი, 16:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი, ზ.ჭავჭავაძის 34-36 ის მიდებარედ

საანგარიშო შეხვედრას ესწრებოდნენ: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ამომრჩევლები, 35 მოქალაქე. საანგარიშო შეხვედრა გამართა ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა, ბატონმა **იმედა საღინაძემ.** საანგარიშო შეხვედრაში მონაწილეობდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჭიშვილი , იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ვლასი გარდაფხაძე.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, ბატონმა, იმედა საღინაძემ და წარმოადგინა საანგარიშო შეხვედრის შემდეგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, იმედა საღინაძის 2021 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი-

,,ავტოქარხნის „ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, საკრებულოს წევრის, იმედა საღინაძის 2021 წლის (იანვარი-ნოემბერი) ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხზე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშით გამოვიდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის, ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ბატონი **იმედა საღნაძე .** მან აღნიშნა: მოგახსენებთ, რომ მე, როგორც ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრი, ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი, აქტიურად ვარ ჩართული საკრებულოსა და ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის

სამუშაო პროცესში. მაქვს ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან და მოქალაქეებთან, რომლებთაც ვხვდები, როგორც საკრებულოს შენობაში, ასევე ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში, ხშირად გავდივარ უბნებზე, რათა უკეთ გავიგო მოსახლეობის პრობლემები, თუ ვის რა უჭირს.

2021 წლის იანვრიდან დღემდე ჩემს სახელზე 85 განცხადება და წერილობითი მომართვაა შემოსული. თითოეულ მათგანზე მყისიერად მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობა და წარმოება შესრულდა ვადა გადაცილების გარეშე.

მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ, მოსახლეობასთან ჩემს მიერ გამართული შეხვედრების თაობაზე. ყოველ პარასკევს , ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში მაქვს ამომრჩევლების მიღება 11:00 სთ-დან 13:00 სთ-მდე. ისინი მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრის მიზნით, როგორიცაა: სასმელი წყლის მიწოდებაში არსებული ხარვეზები, ელექტროკაბელის, ან გარე განათების დაზიანებული ბოძების აღდგენა, მოწესრიგება, მატერიალური დახმარება და სხვა საკითხები. ჩემს მიერ ხდება მათი პრობლემების შესწავლა და უშუალო ჩართვა მათ გადაჭრაში.

2021 წლის განმავლობაში ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი და ჩაბარდა ვადის ფარგლებში. კერძოდ ლეჟავას ქ N5, ავტომშენებლის 1 შეს N6 ,გუგუნავას 15/30,15/25, 15/26,15/29. ასევეა საცხოვრისის მიმდინარე ავტომშენებლის გამზ N7- N9 მიმდებარედ, ბუკიას N13 ის მიმდებარედ , ჩაბარებულია ზ. ჭავჭავაძის ქუჩაზე ტროტუარები, ირ. აბაშიძის ქუჩის ტროტუარები. მიმდინარე პროექტია ასევე „მზეჭაბუკის სკვერი „ ავტომშენებლის გამზირი N14,N16-18 მიმდებარედ

ავტომშნებებლის N10 N8 N6, გუგუნავას15/28,15/27,15/31,15/32, დასრულებულია ბუკიას N68 მიმდებარედ გზის ბეტონით საფარით მოწყობის სამუშაოები. ხოლო მიმდინარეოს ტენდერი ზ.ჭვჭავაძის ქუჩაზე ს/კ03.01.03.551.

2021 წლის იანვრიდან დღემდე შესრულდა და განხორიცლედა უამრავი სამუშოები ავტოქარხნის ტერიტორიაზე კერძოდ: გაბისკირიას ქუჩაზე გაკეთდა მისამართების აღმნიშვნელი ორენოვანი ქართული და ინგლისური წარწერით.აბრების დამზადება მონტაჟი რაოდენობა 42.

დამონტაჟდა ატრაქციონი საჯარო -ზ.ჭავჭავაძის N4 (1 ცალი) N12 (1ცალი).

ტრენაჟორი ზ.გამსახურდიას N31 ის წინ.

ასევე გაკეთდა ლიფტი ი .აბაშიძის N10-1, ზ.ჭავჭავაძის N20 (მეორე) ერთი ცალი.

პარაპეტი ავტომშენებლის 1 შეს N5 N6 , ბუკიას N7ა.

სადარბაზოები ავტომშენებლის N3 (რაოდენობა 2)

სადარბაზოები ავტომშენებლის 1 შეს N5(1-3) ბუკიას N5 (1-4).

გუგუნავას N15/5(1),გამსახურდიას 1 შეს N6(1).

ზ.გამსახურდიას N32 (1-3).ავტომშენებლის N6 (1-3) .

ი.აბაშიძის N17 ა (3) .ბუკიას N7 (1-4) ,ი.აბაშიძის N7 (1-2).

დაიდგა და დამონტაჟდა ძელსაკმები საჯარო :

ავტომშენებლის N27, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N22-24(2 ცალი,

ბუკიას ქუჩა N17,N77,78 ზ. ჭვჭვაძის ქუჩა N4, ბულიას ქუჩ N84 , 21 , ზ.ჭავაჭვაძის ქუჩ N12, N18 ავტომშენებლის ქუჩა N17 , ზ.ჭავჭავაძის N10, N12.N6

ბუკიას ქუჩა N15 , N5ბ, ზ.ჭავაჭვაძის ქუჩა N44-46

ზ ჭვაჭავაძს ქუჩა N26(მესამე სადარბაზო).

ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N36-42 სულ ჯამი (19 ძელსკამი).

გაუკეთდა სოციალურად დაუცველების სახლებს სახურავების რეაბილიტაცია - ზჭავჭავაძის N50 (1), კოტეჯიN2-19.

გაკეთდა კანალიზაცია ბუკიას N5 ოთხი სადარბაზო.

ასევე დაიდგა ძელსკამები 8 ცალი-

ირ.აბაშიძის N21,ჭავჭავაძის N9,ირ აბაშიძის N23, ზ.ჭავჭავაძის N18, ავტომშენებლის N4ა ზ.ჭავჭავაძის N48 ლეჟავას N5ა ლეჟავას N7 .

ქალაქში დაგეგმილ თითქმის ყველა ღონისძიებაში ვღებულობდი მონაწილეობას, თვითმმართველობის გადაწყვეტილებით მთელი პანდემიის პერიოდში უფლებამოსილების ფარგლებში ვუწევდი დახმარებას . მოსახლეობასთან, მიმქონდა მათთვის საკვები პროდუქტები, მედიკამენტები და საჭირო ნივთები. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვარ ასევე ფრაქცია ქართული ოცნება უკეთესი მომავლისთვის ფრაქციის თავმჯდომარე . აქტიურად ვესწრები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებს.

ხშირია ყოველდღიური შეხვედრები საკრებულოში, სადაც მოქალაქეები მოგვმართავენ სხვადასხვა სახის პრობლემების მოგვარების მიზნით.

საკრებულოს საშვთა ბიუროს მონაცემებით, საკრებულოში მიღებული მოქალაქეების რაოდენობა 2021 წელს შეადგენს 100 ადამიანზე მეტს. მათი პრობლემების უმრავლესობა გადაწყვეტილია დადებითად, ნაწილი კი, მოგვარების პროცესშია. ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩვენამდე მოსულ ყველა ადამიანს გავუწიო მაქსიმალური დახმარება ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, ვეძიო გზები მისი მოგვარებისათვის.

შეხვედრაზე აზრი გამოთქვეს:

მოქალაქეებმა ძირითადად მადლობა გადაუხადეს მაჟორიტარს გაწეული მუშაობის თაობაზე და ავტოქარხნის ადმონისტრაციულ ერთეულში განხორიცელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ავტოქარხნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი საკრებულოს წევრის, ბატონი იმედა საღინაძის 2021 წლის (იანვრის თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით) თერთმეტ თვეში გაწეულ მუშაობის თაობაზე აღნიშნული საანგარიშო შეხვედრა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრი იმედა საღინაძე.